13. პროგრამის ბენეფიციარის მიერ ამ მუხლის მე-12 პუნქტის შესაბამისად გათვალისწინებული დამატებითი ანაზღაურების მოთხოვნა შესაძლებელია მხოლოდ სააგენტოს მიერ ამ მუხლის მე-8 და მე-9 პუნქტების შესაბამისად გათვალისწინებული მთლიანი ლიმიტირებული კვალიფიციური ხარჯის ანაზღაურებიდან 24 (ოცდაოთხი) თვის განმავლობაში. ამასთან სააგენტოს მიერ დამატებით



ანაზღაურება განხორციელდება პროგრამის ბენეფიციარის მიერ, ამ პუნქტის შესაბამისად, მოთხოვნის სააგენტოში წარდგენიდან 90 (ოთხმოცდაათი) კალენდარული დღის ვადაში.

საქართველოს მთავრობის 2015 წლის 4 დეკემბრის დადგენილება №612 - ვებგვერდი, 09.12.2015წ.
საქართველოს მთავრობის 2016 წლის 21 მარტის დადგენილება №132 - ვებგვერდი, 23.03.2016წ.
საქართველოს მთავრობის 2016 წლის 29 დეკემბრის დადგენილება №624 - ვებგვერდი, 30.12.2016წ.
საქართველოს მთავრობის 2017 წლის 8 ნოემბრის დადგენილება №493 - ვებგვერდი, 09.11.2017წ.
საქართველოს მთავრობის 2019 წლის 5 აპრილის დადგენილება №183 - ვებგვერდი, 11.04.2019წ.
საქართველოს მთავრობის 2019 წლის 5 ივლისის დადგენილება №316 - ვებგვერდი, 05.7.2019წ.

მუხლი 12¹⁴. ხელშეკრულების შეწყვეტის პირობები

ამ პროგრამის 12¹³ მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებული ხელშეკრულება წყდება შემდეგი გარემოებების დადგომისას:

ა) პროგრამით დადგენილი პირობებით, სააგენტოს და პროგრამის ბენეფიციარის მიერ ამავე პროგრამით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულება;

ბ) პროგრამის ბენეფიციარის მიერ ამ პროგრამით დადგენილი წესით ხელშეკრულების დარღვევა ან/და არაჯეროვნად შესრულება, ხელშეკრულებით დადგენილი წესისა და პირობების შესაბამისად;

გ) ამ პროგრამით დადგენილი წესით ხელშეკრულების ვადის დასრულება;

დ) საქართველოს კანონმდებლობით და ამ პროგრამით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

საქართველოს მთავრობის 2015 წლის 4 დეკემბრის დადგენილება №612 - ვებგვერდი, 09.12.2015წ.

მუხლი 12¹⁵. პროგრამის ბიუჯეტი და დაფინანსება

1. პროგრამის დაფინანსების წყაროა სახელმწიფო ბიუჯეტით სააგენტოსთვის გათვალისწინებული ასიგნებები.

2. პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი პროექტები შესაძლოა დაფინანსდეს საერთაშორისო და დონორი ორგანიზაციების, ასევე საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული სხვა სახსრებით.

საქართველოს მთავრობის 2015 წლის 4 დეკემბრის დადგენილება №612 - ვებგვერდი, 09.12.2015წ.

მუხლი 12¹⁶. სხვა დებულებები

ამ პროგრამით გათვალისწინებული დაფინანსების მიღების მიზნით, ამავე პროგრამით დადგენილი წესით, შესაბამისი განაცხადის წარდგენის ვადა განისაზღვრება არაუგვიანეს 2019 წლის 15 დეკემბრით.

საქართველოს მთავრობის 2015 წლის 4 დეკემბრის დადგენილება №612 - ვებგვერდი, 09.12.2015წ.
საქართველოს მთავრობის 2017 წლის 14 დეკემბრის დადგენილება №546 - ვებგვერდი, 15.12.2017წ.
საქართველოს მთავრობის 2018 წლის 26 დეკემბრის დადგენილება №651 - ვებგვერდი, 27.12.2018წ.

თავი I³ სახელმწიფო პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ შექმენი საქართველოში ნაწილი

საქართველოს მთავრობის 2016 წლის 11 მაისის დადგენილება №207 - ვებგვერდი, 16.05.2016წ.

მუხლი 12¹⁷. ტერმინთა განმარტება

სახელმწიფო პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ შექმენი საქართველოში ნაწილის მიზნებისათვის, ამ თავში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

ა) პროგრამა – სახელმწიფო პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ შექმენი საქართველოში ნაწილი;

ბ) ინოვაციების სააგენტო – საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო;

გ) სამრეწველო ინოვაციების ლაბორატორია (FABLAB) – ლაბორატორია, რომელიც თანამედროვე დაზოგა-დანადგარების (მათ შორის, 3D პრინტერის, 3D სკანერის, პროგრამირებადი ჩარხის, ლაზერული მჭრელის და ა.შ.) გამოყენების საშუალებით უზრუნველყოფს ინოვაციური და კრეატიული პროდუქტის შექმნას;

დ) განაცხადი – საქართველოს მოქალაქე ფიზიკური პირის მიერ ინოვაციების სააგენტოსათვის



ელექტრონული ფორმით მიმართვა, პროგრამაში მონაწილეობის მიღების მიზნით;

ე) განმცხადებელი – საქართველოს მოქალაქე ფიზიკური პირი;

ვ) სახელმწიფო გრანტი – სახელმწიფო პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ შექმნილი საქართველოში ნაწილის მიზნებისათვის გაცემული თანხა;

ზ) გრანტის მიმღები – განმცხადებელი, რომელმაც ამ დადგენილების შესაბამისად მიიღო სახელმწიფო გრანტი;

თ) გუნდი – განმცხადებელთა გაერთიანება, რომელიც ერთიანი სახელწოდებით მონაწილეობს პროგრამაში;

ი) პროგრამის ბენეფიციარი – პირი, რომელიც ამ პროგრამით დადგენილი პირობების შესაბამისად, მონაწილეობს პროგრამაში როგორც პირველ, ასევე მე-2 ეტაპზე;

კ) პროექტი – ფიზიკური პირის მიერ, პროგრამის ფარგლებში, ინოვაციების სააგენტოსათვის წარდგენილ განაცხადში მითითებული ინფორმაციების ერთობლიობა, რომელიც მოიცავს შემდეგს:

კ.ა) ინფორმაციას პროექტის ავტორის შესახებ;

კ.ბ) ინფორმაციას პროექტის შესახებ;

კ.გ) პროექტის ხარჯთაღრიცხვას;

ლ) შესარჩევი კომისია – ინოვაციების სააგენტოს მიერ შექმნილი კომისია, რომელიც იღებს გადაწყვეტილებას განმცხადებლის პროგრამაში მონაწილეობის შესახებ.

საქართველოს მთავრობის 2016 წლის 11 მაისის დადგენილება №207 - ვებგვერდი, 16.05.2016წ.

მუხლი 12¹⁸. პროგრამის მიზანი და აღწერა

1. პროგრამის მიზანია სამრეწველო ინოვაციების ლაბორატორიების რესურსების გამოყენებით ინოვაციური პროდუქტის შექმნის ხელშეწყობა, საქართველოში მაღალი ტექნოლოგიების გამოყენებით წარმოების წახალისება, ინოვაციური მეწარმეობის უნარ-ჩვევების განვითარება და კონკურენტუნარიანობის გაზრდა. პროგრამა ხორციელდება 2 ეტაპად.

2. პირველი ეტაპის ფარგლებში ხდება:

ა) განცხადებების მიღება;

ბ) განმცხადებლების გადამზადება საჭიროებების შესაბამისად, ინოვაციების სააგენტოს მიერ მომზადებული შესაბამისი მიმართულების ტრენინგების მოდულების მიხედვით;

გ) შესარჩევი კონკურსისათვის მომზადების მიზნით, სატესტო რეჟიმში მონაწილეთა დაშვება სამრეწველო ინოვაციების ლაბორატორიებში პროტოტიპის შესაქმნელად;

დ) შესარჩევი კონკურსში მონაწილეობა.

3. შესარჩევი კომისიის მიერ მე-2 ეტაპზე გადასული პირებისათვის მე-2 ეტაპის ფარგლებში ხდება:

ა) მონაწილისათვის/გუნდისათვის მენტორის დანიშვნა;

ბ) მონაწილის/გუნდის შესაბამის სამრეწველო ინოვაციების ლაბორატორიაში უფასოდ დაშვება;

გ) საგრანტო დაფინანსება 200-დან 1000-ლარამდე, რომლის მიზანია პროდუქტის მასალის ხარჯების დაფარვა;

დ) პროგრამის ფარგლებში შექმნილი პროდუქტის რეალიზაციის ხელშეწყობა, რაც მოიცავს:

დ.ა) ბენეფიციარების მიერ შექმნილი პროდუქტის რეალიზაციისათვის გამოფენა-გაყიდვების ორგანიზებას;

დ.ბ) პროექტის კომერციალიზაციის მიზნით, ბენეფიციარების დაკავშირების ხელშეწყობას კერძო სექტორთან/პოტენციურ ინვესტორებთან (B2B).

საქართველოს მთავრობის 2016 წლის 11 მაისის დადგენილება №207 - ვებგვერდი, 16.05.2016წ.

მუხლი 12¹⁹. პროგრამის განმახორციელებელ სუბიექტთა უფლებამოსილება

1. პროგრამის კოორდინაციას და პროგრამით განსაზღვრული ღონისძიებების შესრულებაზე ზედამხედველობას ახორციელებს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო.

2. ინოვაციების სააგენტო:

ა) ახორციელებს პროგრამის შესახებ ინფორმაციის მიწოდებას მოსახლეობისათვის;

ბ) აწარმოებს განაცხადების მიღებას;

გ) ამზადებს და აფორმებს გამარჯვებულ განმცხადებლებთან საგრანტო ხელშეკრულებას;

დ) აწარმოებს ბენეფიციარის მიერ საგრანტო ხელშეკრულების განხორციელების მონიტორინგს;

ე) პროგრამის ბენეფიციარების მონაცემთა აღრიცხვის მიზნით, ქმნის პროგრამის მონაცემთა ბაზას.

3. შესარჩევი კომისია იღებს გადაწყვეტილებას მე-2 ეტაპზე მონაწილეთა გადაყვანის შესახებ.



მუხლი 12²⁰. პროგრამის ბიუჯეტი და დაფინანსება

პროგრამის დაფინანსების წყაროა სახელმწიფო ბიუჯეტით ინოვაციების სააგენტოსათვის გათვალისწინებული ასიგნებები.

თავი I⁴

სახელმწიფო პროგრამის „აწარმოე საქართველოში“

აწარმოე უკეთესი მომავლისთვის ნაწილი

საქართველოს მთავრობის 2018 წლის 22 ნოემბრის დადგენილება №557 - ვებგვერდი, 22.11.2018წ.

მუხლი 12²¹. ტერმინთა განმარტება

„სახელმწიფო პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ აწარმოე უკეთესი მომავლისთვის ნაწილის მიზნებისთვის, ამ თავში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

ა) **პროგრამა** – „სახელმწიფო პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ აწარმოე უკეთესი მომავლისთვის ნაწილი;

ბ) **მეწარმე სუბიექტი** – აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში ან ცხინვალის რეგიონში (ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიებზე) ლეგიტიმურად მცხოვრები 18 წელს მიღწეული ფიზიკური პირი, აგრეთვე საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებული მეწარმე სუბიექტი, რომელიც საქმიანობას ლეგიტიმურად ახორციელებს აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში ან ცხინვალის რეგიონში (ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიებზე) „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტით, „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონით და/ან საქართველოს საგადასახადო კოდექსით დადგენილი წესით, აგრეთვე 18 წელს მიღწეული საქართველოს მოქალაქე ფიზიკური პირი და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებული მეწარმე სუბიექტი, რომელიც საქმიანობას ახორციელებს საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე;

გ) **მეწარმე სუბიექტთა ჯგუფი** – პროგრამის ფარგლებში, საერთო მიზნების მისაღწევად, ერთობლივი საქმიანობის ხელშეკრულებით (ამხანაგობის ხელშეკრულებით), მეწარმე სუბიექტების გაერთიანება;

დ) **პროგრამის ბენეფიციარი** – მეწარმე სუბიექტი, რომელმაც მიიღო პროგრამით განსაზღვრული ხელშეწყობა ამავე პროგრამით დადგენილი პირობების შესაბამისად;

ე) **პროგრამის ბენეფიციართა ჯგუფი** – მეწარმე სუბიექტთა ჯგუფი, რომელმაც მიიღო პროგრამით განსაზღვრული ხელშეწყობა ამავე პროგრამით დადგენილი პირობების შესაბამისად;

ვ) **პროექტი** – მეწარმე სუბიექტის/მეწარმე სუბიექტთა ჯგუფის მიერ პროგრამის ფარგლებში, პროგრამის მონაცემთა ბაზის მეშვეობით, სააგენტოსთვის წარდგენილი ბიზნესგეგმა;

ზ) **სააგენტო** – საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – აწარმოე საქართველოში;

თ) **ბენეფიციარის ხელშეკრულება** – სააგენტოსა და პროგრამის ბენეფიციარს/პროგრამის ბენეფიციართა ჯგუფს შორის დაფინანსების შესახებ გაფორმებული ხელშეკრულება;

ი) **საკონკურსო კომისია** – საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის



მთავრობის, შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატისა და სააგენტოს წარმომადგენლებით დაკომპლექტებული კომისია, რომელიც განსაზღვრავს პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელ ეტაპებს, მათი ჩატარების ვადებს, პირობებსა და პროცედურებს, მათ შორის, დაფინანსების პირობებს, საერთაშორისო ორგანიზაციის ან/და საერთაშორისო აუდიტორული კომპანიის საშუალებით მონიტორინგის განხორციელების პირობებსა და პროცედურას, შეფასების კრიტერიუმებს, ახდენს პროგრამის შემდგომი გაუმჯობესების იდენტიფიცირებასა და რეკომენდაციების შემუშავებას; ახორციელებს პროგრამის ბენეფიციარის/პროგრამის ბენეფიციართა ჯგუფის შერჩევის პროცედურას და იღებს გადაწყვეტილებას დაფინანსების თაობაზე. კომისიის შემადგენლობასა და საქმიანობის წესს ამტკიცებს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი (კომისიის თავმჯდომარე);

კ) **ეტაპი** – პერიოდი პროგრამის ბენეფიციარის/პროგრამის ბენეფიციართა ჯგუფის შერჩევიდან, ბენეფიციარის ხელშეკრულების სახელშეკრულებო ვალდებულებათა მონიტორინგის პროცედურის ჩათვლით;

ლ) **პროგრამის მონაცემთა ბაზა** – პროგრამის თითოეული ეტაპის აღრიცხვის ერთიანი ელექტრონული სისტემა.

*საქართველოს მთავრობის 2018 წლის 22 ნოემბრის დადგენილება №557 - ვებგვერდი, 22.11.2018წ.
საქართველოს მთავრობის 2019 წლის 28 იანვრის დადგენილება №16 – ვებგვერდი, 30.01.2019წ.
საქართველოს მთავრობის 2019 წლის 14 აგვისტოს დადგენილება №387 – ვებგვერდი, 14.08.2019წ.*

მუხლი 12²². პროგრამის მიზანი

გამყოფი ხაზების (აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკა, ცხინვალის რეგიონი (ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიები)) გასწვრივ ვაჭრობისა და მასთან დაკავშირებული ეკონომიკური საქმიანობის ხელშეწყობის, აგრეთვე თანამშრომლობისა და ნდობის მშენებლობისათვის საფუძვლის შექმნის მიზნით, გამყოფი ხაზების ორივე მხარეს მცხოვრები მოსახლეობის ერთობლივი წარმოებისა და პარტნიორული პროექტების მხარდაჭერა.

საქართველოს მთავრობის 2018 წლის 22 ნოემბრის დადგენილება №557 - ვებგვერდი, 22.11.2018წ.

მუხლი 12²³. პროგრამის განმახორციელებელ სუბიექტთა უფლება-მოვალეობები

1. პროგრამის კოორდინაციასა და პროგრამით განსაზღვრული ღონისძიებების შესრულებაზე ზედამხედველობას ახორციელებს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო.

2. სააგენტო:

ა) ახდენს პროგრამის მონაცემთა ბაზის ადმინისტრირებასა და ამ ბაზაში რეგისტრირებული პროექტების პირველად გადარჩევას;

ბ) ახდენს საკონკურსო კომისიის ინფორმირებას პროექტების პირველადი გადარჩევის შედეგების შესახებ და, დაფინანსებასთან დაკავშირებით საბოლოო გადაწყვეტილების მიღების მიზნით, საკონკურსო კომისიას წარუდგენს შერჩეულ პროექტებს;

გ) საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილების საფუძველზე, აფორმებს ბენეფიციარის ხელშეკრულებას პროგრამის ბენეფიციართან/პროგრამის ბენეფიციართა ჯგუფთან და უზრუნველყოფს მათ დაფინანსებას სააგენტოს ასიგნებებიდან;

დ) პროგრამის ბენეფიციარს/პროგრამის ბენეფიციართა ჯგუფს უწევს პროგრამასა და პროექტის განხორციელებასთან დაკავშირებულ საინფორმაციო-საკონსულტაციო მხარდაჭერას;

ე) საჭიროების შემთხვევაში, პროგრამის ბენეფიციარს/პროგრამის ბენეფიციართა ჯგუფს უწევს ტექნიკურ დახმარებას ტრენინგებისა და ინდივიდუალური კონსულტაციების მეშვეობით;

ვ) პროგრამის ჯეროვნად განხორციელების მიზნით, უფლებამოსილია, შექმნას შესაბამისი ბენეფიციართა მომსახურების ცენტრი.



3. საკონკურსო კომისია:

ა) განსაზღვრავს პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელ ეტაპებს, მათი ჩატარების ვადებს, პირობებსა და პროცედურებს, მათ შორის, დაფინანსების პირობებს, მონიტორინგის განხორციელების პირობებსა და პროცედურას, შეფასების კრიტერიუმებს;

ბ) ახდენს პროგრამის შემდგომი გაუმჯობესების იდენტიფიცირებასა და რეკომენდაციების შემუშავებას;

გ) ახორციელებს პროგრამის ბენეფიციარის/პროგრამის ბენეფიციართა ჯგუფის შერჩევის პროცედურას და იღებს გადაწყვეტილებას დაფინანსების თაობაზე.

საქართველოს მთავრობის 2018 წლის 22 ნოემბრის დადგენილება №557 - ვებგვერდი, 22.11.2018წ.

მუხლი 12²⁴. პროგრამაში მონაწილეობა

1. ახალი ბიზნესის დაწყების ან არსებულის გაფართოების/გადაიარაღების მიზნით, პროგრამაში მონაწილეობის მიღების მსურველი მეწარმე სუბიექტი/მეწარმე სუბიექტთა ჯგუფი სააგენტოში წარადგენს პროექტს.

2. საკონკურსო კომისიის მიერ დაფინანსების გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, სააგენტოსა და პროგრამის ბენეფიციარს/პროგრამის ბენეფიციართა ჯგუფს შორის ფორმდება ბენეფიციარის ხელშეკრულება, რის შემდეგაც სააგენტო უფლებამოსილია, გასცეს დაფინანსება პროგრამის ბენეფიციარზე/პროგრამის ბენეფიციართა ჯგუფზე.

3. სააგენტოს მხრიდან დაფინანსების მაქსიმალური ოდენობა განისაზღვრება:

ა) 7 000 (შვიდი ათასი) ლარამდე ერთ ბენეფიციარზე, რომელიც უნდა ცხოვრობდეს ან/და საქმიანობდეს საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიაზე;

ბ) 15 000 (თხუთმეტი ათასი) ლარამდე ბენეფიციართა ჯგუფზე, რომელიც შედგება ორი ბენეფიციარისგან, მათ შორის, ერთი ბენეფიციარი უნდა ცხოვრობდეს ან/და საქმიანობდეს საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიაზე;

გ) 20 000 (ოცი ათასი) ლარამდე ბენეფიციართა ჯგუფზე, რომელიც შედგება სამი ბენეფიციარისგან, მათ შორის, მინიმუმ ერთი ბენეფიციარი უნდა ცხოვრობდეს ან/და საქმიანობდეს საქართველოს მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე;

დ) 35 000 (ოცდათხუთმეტი ათასი) ლარამდე ბენეფიციართა ჯგუფზე, რომელიც შედგება ოთხი ან მეტი ბენეფიციარისგან, მათ შორის, მინიმუმ ერთი ბენეფიციარი უნდა ცხოვრობდეს ან/და საქმიანობდეს საქართველოს მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე.

4. სააგენტო პროგრამის ბენეფიციარის/პროგრამის ბენეფიციართა ჯგუფის დაფინანსებას ახორციელებს საკონკურსო კომისიის მიერ განსაზღვრული წესით.

5. სააგენტოს მიერ პროგრამის ბენეფიციარის/პროგრამის ბენეფიციართა ჯგუფის დაფინანსება შესაძლებელია, განხორციელდეს მხოლოდ პროექტით (ბიზნესგეგმით) გათვალისწინებული საქმიანობის განხორციელებისთვის საჭირო ძირითადი (აღჭურვილობის/მანქანა-დანადგარების) და საბრუნავი საშუალებების შესაძენად, საკონკურსო კომისიის მიერ დადგენილი წესით.

საქართველოს მთავრობის 2018 წლის 22 ნოემბრის დადგენილება №557 - ვებგვერდი, 22.11.2018წ.

მუხლი 12²⁵. პროგრამის ბიუჯეტი და დაფინანსება

1. პროგრამის დაფინანსების წყაროა სახელმწიფო ბიუჯეტით სააგენტოსთვის გათვალისწინებული ასიგნებები.

2. პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი პროექტები შესაძლოა, დამატებით დაფინანსდეს საერთაშორისო და დონორი ორგანიზაციების, ასევე საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული



მუხლი 24. (ამოღებულია)

საქართველოს მთავრობის 2020 წლის 4 ივნისის დადგენილება №354 – ვებგვერდი, 05.06.2020წ.

მუხლი 25. (ამოღებულია)

საქართველოს მთავრობის 2014 წლის 6 აგვისტოს დადგენილება №471 – ვებგვერდი, 07.08.2014წ.
საქართველოს მთავრობის 2014 წლის 7 ოქტომბრის დადგენილება №587 - ვებგვერდი, 07.10.2014წ.
საქართველოს მთავრობის 2020 წლის 4 ივნისის დადგენილება №354 – ვებგვერდი, 05.06.2020წ.

მუხლი 26. (ამოღებულია)

საქართველოს მთავრობის 2015 წლის 20 იანვრის დადგენილება №6 – ვებგვერდი, 23.01.2015წ.
საქართველოს მთავრობის 2020 წლის 4 ივნისის დადგენილება №354 – ვებგვერდი, 05.06.2020წ.

მუხლი 27. (ამოღებულია)

საქართველოს მთავრობის 2015 წლის 20 იანვრის დადგენილება №6 – ვებგვერდი, 23.01.2015წ.
საქართველოს მთავრობის 2020 წლის 4 ივნისის დადგენილება №354 – ვებგვერდი, 05.06.2020წ.

მუხლი 28. (ამოღებულია)

საქართველოს მთავრობის 2014 წლის 17 ივნისის დადგენილება №403 – ვებგვერდი, 19.06.2014წ.
საქართველოს მთავრობის 2020 წლის 4 ივნისის დადგენილება №354 – ვებგვერდი, 05.06.2020წ.

მუხლი 29. (ამოღებულია)

საქართველოს მთავრობის 2015 წლის 20 იანვრის დადგენილება №6 – ვებგვერდი, 23.01.2015წ.
საქართველოს მთავრობის 2016 წლის 29 დეკემბრის დადგენილება №624 - ვებგვერდი, 30.12.2016წ.
საქართველოს მთავრობის 2020 წლის 4 ივნისის დადგენილება №354 – ვებგვერდი, 05.06.2020წ.

თავი III

გარდამავალი დებულებები

საქართველოს მთავრობის 2020 წლის 4 ივნისის დადგენილება №354 – ვებგვერდი, 05.06.2020წ.

მუხლი 30. ახალი კორონავირუსის (COVID-19) გავრცელებით გამოწვეული ეკონომიკური საფრთხეების დაძლევის მიზნით, ამ დადგენილების I თავისა და დანართ №6-ის მიზნებისათვის დაწესდეს გარდამავალი პერიოდი.

საქართველოს მთავრობის 2020 წლის 4 ივნისის დადგენილება №354 – ვებგვერდი, 05.06.2020წ.

მუხლი 31. ამ თავის 30-ე მუხლით განსაზღვრული გარდამავალი პერიოდი განისაზღვროს 2020 წლის 1 ივნისიდან 2021 წლის 31 მაისის ჩათვლით.

საქართველოს მთავრობის 2020 წლის 4 ივნისის დადგენილება №354 – ვებგვერდი, 05.06.2020წ.

მუხლი 32. ამ თავის 30-ე და 31-ე მუხლებით განსაზღვრული გარდამავალი პერიოდის განმავლობაში, ამ დადგენილებით დამტკიცებულ „სახელმწიფო პროგრამაში – „აწარმოე საქართველოში“:

1. პირველ მუხლში:

ა) პირველი პუნქტის „ო“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ო) სასტუმრო ინდუსტრია – საქმიანობა, რომელიც ამ პროგრამის შესაბამისად ხორციელდება მეწარმე სუბიექტის მიერ საქართველოში, მის საკუთრებაში ან დროებით სარგებლობაში არსებულ ფართზე განთავსებულ სასტუმროში, ქ. თბილისისა და ქ. ბათუმის (საქართველოს პარლამენტის 2011 წლის 14 ივნისის №4757-ის დადგენილების ამოქმედებამდე არსებულ ადმინისტრაციულ საზღვრებში) ტერიტორიების გარდა, სასტუმროს ექსპლუატაციით, საერთაშორისო ბრენდის გამოყენებით ან მის გარეშე. პროგრამის მიზნებისათვის უძრავი ნივთის დროებით სარგებლობა გულისხმობს პროგრამაში ჩართვის მსურველი მეწარმე სუბიექტის მიერ საქართველოს სახელმწიფოსგან იჯარით/ქირით/აღნაგობის უფლებით მიღებული უძრავი ქონებით სარგებლობის უფლებას, რომელიც დასტურდება საჯარო რეესტრის ამონაწერით და წარმოშობილია არანაკლებ კომერციული ბანკის/ლიზინგის გამცემის მიერ პროგრამის ბენეფიციარზე სესხის/ლიზინგის საგნის გაცემიდან ბენეფიციარის მიერ პროგრამით ნაკისრი ვალდებულებების სრულად შესრულებამდე ვადით



დადებული ხელშეკრულებით;“;

ბ) „ო¹“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ო¹) ბალნეოლოგიური კურორტების ინდუსტრია – საქმიანობა, რომელიც ამ პროგრამის შესაბამისად ხორციელდება მეწარმე სუბიექტის მიერ საქართველოში, მის საკუთრებაში ან დროებით სარგებლობაში არსებულ ფართზე განთავსებულ სასტუმროში, დანართ №4-ით დადგენილი კრიტერიუმების შესაბამისად, სასტუმროს ექსპლუატაციით, საერთაშორისო ბრენდის გამოყენებით ან მის გარეშე. პროგრამის მიზნებისათვის უძრავი ნივთის დროებით სარგებლობა გულისხმობს პროგრამაში ჩართვის მსურველი მეწარმე სუბიექტის მიერ საქართველოს სახელმწიფოსგან იჯარით/ქირით/აღნაგობის უფლებით მიღებული უძრავი ქონებით სარგებლობის უფლებას, რომელიც დასტურდება საჯარო რეესტრის ამონაწერით და წარმოშობილია არანაკლებ კომერციული ბანკის/ლიზინგის გამცემის მიერ პროგრამის ბენეფიციარზე სესხის/ლიზინგის საგნის გაცემიდან ბენეფიციარის მიერ პროგრამით ნაკისრი ვალდებულებების სრულად შესრულებამდე ვადით დადებული ხელშეკრულებით;“;

გ) „რ“ ქვეპუნქტი ამოღებულ იქნეს;

დ) დაემატოს შემდეგი შინაარსის „ფ“ ქვეპუნქტი:

„ფ) რესტრუქტურიზებული სესხი – „კომერციული ბანკების მიერ აქტივების კლასიფიკაციისა და შესაძლო დანაკარგების რეზერვების შექმნისა და გამოყენების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2017 წლის 10 აგვისტოს №117/04 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად განსაზღვრული კრედიტი;“.

ე) დაემატოს შემდეგი შინაარსის „ქ“ ქვეპუნქტი:

„ქ) სალიზინგო პროექტის რესტრუქტურიზაცია - ლიზინგის გამცემსა და ბენეფიციარს შორის გაფორმებული ლიზინგის ხელშეკრულების მიხედვით შეთანხმებული სალიზინგო საზღაურების (რომელიც მოიცავს, როგორც სააგენტოს თანადაფინანსებას, ასევე ბენეფიციარის თანამონაწილეობას) გადახდის გრაფიკის ცვლილება, რომელიც შესაძლოა, განხორციელდეს ლიზინგის მიმღებისთვის/ბენეფიციარისათვის შექმნილი ფინანსური სირთულეებიდან ან ლიზინგის დაფინანსების თანხის ნაწილობრივ წინსწრებით დაფარვის მიზეზით. ამ პროგრამის მიზნებისათვის ლიზინგის დაფინანსების თანხა არის ლიზინგის საგნის ღირებულება, ლიზინგის მიმღების მიერ ლიზინგის საგნის სარგებლობაში მიღებასთან დაკავშირებული კაპიტალიზირებადი დანახარჯების გათვალისწინებით, ლიზინგის მიმღების თანამონაწილეობის გარეშე.“;

2. მე-5 მუხლის:

ა) მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. კრედიტის/ლიზინგის მიმართულება მოიცავს სააგენტოს მიერ პროგრამის ფარგლებში კომერციული ბანკის/ლიზინგის გამცემის მიერ პროგრამის ბენეფიციარისთვის გაცემულ/რესტრუქტურიზებულ კრედიტზე/ლიზინგის საგნის ღირებულებაზე დარიცხული წლიური საპროცენტო განაკვეთის თანადაფინანსებას, სააგენტოსთვის სახელმწიფო ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში, ამ პროგრამით განსაზღვრული პირობებით.“;

ბ) მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) ამ პროგრამის მე-4 მუხლის „ა“ და „ე“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ ინდუსტრიაში საქმიანობის დაწყებას, კომერციული ბანკის/ლიზინგის გამცემის მიერ კრედიტის პირველი ტრანშის/ლიზინგის საგნის გაცემიდან არაუგვიანეს 3 წლისა, ხოლო არსებული საწარმოების გაფართოების/გადაიარაღების შემთხვევაში – პირველი ტრანშის/ლიზინგის საგნის გაცემიდან არაუგვიანეს 24 თვისა. საქმიანობის დაწყების დასახელებული ვადები ვრცელდება იმ მეწარმე სუბიექტებზეც, რომელთაც სააგენტოსთან გაფორმებული ხელშეკრულების შესაბამისად საქმიანობის დაწყების ვალდებულება უდგებათ 2021 წლის 31 მაისის ჩათვლით პერიოდში;“;

გ) მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:



„ბ) ამ პროგრამის მე-4 მუხლის „გ“ და „დ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ ინდუსტრიებში, საერთაშორისო ბრენდის გამოყენების შემთხვევაში, საქმიანობის დაწყებას კომერციული ბანკის/ლიზინგის გამცემის მიერ კრედიტის პირველი ტრანშის/ლიზინგის საგნის გაცემიდან არაუგვიანეს 4 (ოთხი) წლისა, ხოლო საერთაშორისო ბრენდის გამოყენების გარეშე, საქმიანობის დაწყებას ან/და, არსებულის გაფართოების/ გადაიარაღების შემთხვევაში, კომერციული ბანკის/ლიზინგის გამცემის მიერ კრედიტის პირველი ტრანშის/ლიზინგის საგნის გაცემიდან არაუგვიანეს 3 (სამი) წლისა. საქმიანობის დაწყების დასახელებული ვადები ვრცელდება იმ მეწარმე სუბიექტებზეც, რომელთაც სააგენტოსთან გაფორმებული ხელშეკრულების შესაბამისად საქმიანობის დაწყების ვალდებულება უდგებათ 2021 წლის 31 მაისის ჩათვლით პერიოდში“;

დ) მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. საერთაშორისო ბრენდის მიმართულება მოიცავს სააგენტოს მიერ პროგრამის ფარგლებში პროგრამის ბენეფიციარისთვის საერთაშორისო ბრენდის გამოყენებისთვის ბრენდის გამოყენებით საქმიანობის დაწყებიდან 36 (ოცდათექვსმეტი) თვის განმავლობაში დარიცხული და ამ პერიოდზე 41 (ორმოცდაერთი) თვის მანძილზე გადახდილი გადასახადის ანაზღაურებას არაუმეტეს 600 000 (ექვსასი ათასი) ლარის ოდენობით, საერთაშორისო ბრენდის გამოყენებით საქმიანობის დაწყებიდან არაუგვიანეს 6 კალენდარული თვის განმავლობაში, სააგენტოსა და პროგრამის ბენეფიციარს შორის გაფორმებული შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე, თითოეულ საანგარიშო წელზე, წელიწადში არაუმეტეს 300 000 (სამასი ათასი) ლარისა, სააგენტოსთვის სახელმწიფო ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში, ამ პროგრამით განსაზღვრული პირობებით. მხოლოდ იმ ბენეფიციარებისათვის, რომლებსაც საერთაშორისო ბრენდით საქმიანობა მოუწიათ 2020 წლის 1 ივნისიდან 2021 წლის 31 მაისის ჩათვლით პერიოდში. თუ ამ პუნქტით განსაზღვრული ასანაზღაურებელი თანხის მოცულობა აღემატება წელიწადში 300 000 (სამასი ათასი) ლარს, ამ პროგრამის საერთაშორისო ბრენდის გამოყენების მიმართულება გავრცელდება მხოლოდ ამ პუნქტით განსაზღვრულ მაქსიმალურ მოცულობაზე. საერთაშორისო ბრენდის გამოყენებისათვის პროგრამის ბენეფიციარის მიერ გადახდილი საფასურის სააგენტოს მიერ ანაზღაურება ხდება ეროვნულ ვალუტაში, პროგრამის ბენეფიციარის მიერ თანხის გადახდის დღისთვის ან სააგენტოს მიერ თანხის გადარიცხვის დღისთვის არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად, იმის მიხედვით, რომელიც არის უმცირესი.“.

3. მე-6 მუხლის:

ა) მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. კომერციული ბანკის მიერ ამ პროგრამის მე-4 მუხლის „ა“ და „ე“ ქვეპუნქტებით განსაზღვრულ ინდუსტრიაში საქმიანობისთვის და მის მიერ განსაზღვრული კრიტერიუმების მიხედვით გარდამავალ პერიოდში კრედიტის დამტკიცების შემთხვევაში, სააგენტო ამ მუხლის მე-4 პუნქტით განსაზღვრული მოცულობების ფარგლებში ახორციელებს კომერციული ბანკის მიერ პროგრამის ბენეფიციარისთვის გაცემულ კრედიტზე დარიცხული 36 (ოცდათექვსმეტი) თვის საპროცენტო განაკვეთის თანადაფინანსებას, კრედიტის გაცემის დღეს ეროვნული ბანკის მიერ ფიქსირებულ რეფინანსირების განაკვეთს დამატებული 3 (სამი) პროცენტის ოდენობით, მაგრამ არაუმეტეს კომერციული ბანკის მიერ გაცემულ კრედიტზე დარიცხული წლიური საპროცენტო განაკვეთისა, კრედიტის ან მისი პირველი ტრანშის გაცემიდან 41 (ორმოცდაერთი) თვის განმავლობაში. ამასთანავე, თუ კომერციული ბანკის მიერ გაცემული სესხის ვადა 36 (ოცდათექვსმეტი) თვეზე ნაკლებია, სააგენტო განახორციელებს გაცემულ კრედიტზე დარიცხული წლიური საპროცენტო განაკვეთის თანადაფინანსებას გაცემული სესხის ვადით.“;

ბ) მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. ამ პროგრამის მე-4 მუხლის „გ“ და „დ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ ინდუსტრიაში საქმიანობისათვის ან/და არსებულის გაფართოებისათვის/გადაიარაღებისათვის, კომერციული ბანკის მიერ განსაზღვრული კრიტერიუმების მიხედვით გარდამავალ პერიოდში კრედიტის დამტკიცების შემთხვევაში, სააგენტო ამ მუხლის მე-5 და მე-6 პუნქტებით განსაზღვრული მოცულობების ფარგლებში ახორციელებს კომერციული ბანკის მიერ პროგრამის ბენეფიციარისთვის გაცემულ კრედიტზე დარიცხული 36 (ოცდათექვსმეტი) თვის საპროცენტო განაკვეთის თანადაფინანსებას კრედიტის



გაცემის დღეს ეროვნული ბანკის მიერ ფიქსირებულ რეფინანსირების განაკვეთს დამატებული 3 (სამი) პროცენტის ოდენობით, მაგრამ არაუმეტეს კომერციული ბანკის მიერ გაცემულ კრედიტზე დარიცხული წლიური საპროცენტო განაკვეთისა, კრედიტის ან მისი პირველი ტრანშის გაცემიდან 41 (ორმოცდაერთი) თვის განმავლობაში. ამასთანავე, თუ კომერციული ბანკის მიერ გაცემული სესხის ვადა 36 (ოცდათექვსმეტი) თვეზე ნაკლებია, სააგენტო განახორციელებს გაცემულ კრედიტზე დარიცხული წლიური საპროცენტო განაკვეთის თანადაფინანსებას გაცემული სესხის ვადით.“;

გ) მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. პროგრამის ფარგლებში, კომერციული ბანკის მიერ მე-4 მუხლის „ა“ და „ე“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ ინდუსტრიაში საქმიანობის დასაწყებად ან/და არსებული საწარმოს გაფართოებისთვის/ გადაიარაღებისათვის, პროგრამის ბენეფიციარისთვის/პროგრამაში ჩართვის მსურველი მეწარმე სუბიექტისთვის პირველად გაცემული კრედიტის:

- მინიმალური მოცულობა შეადგენს არანაკლებ 50,000.0 (ორმოცდაათი ათასი) ლარს;
- მაქსიმალური მოცულობა – 10,000,000.0 (ათი მილიონი) ლარს.

ხსენებული მაქსიმალური ლიმიტის ფარგლებში, პროგრამით სარგებლობის შესაძლებლობა აქვს სახელმწიფო პროგრამის ამოქმედებიდან ნებისმიერ პერიოდში პროგრამაში ჩართულ პროგრამის ბენეფიციარს, რომლის მიმართ, ამავე პუნქტით სესხის აღების მომენტში:

– არ არის დასრულებული სააგენტოს მიერ თანადაფინანსების ოცდაოთხთვიანი პერიოდი ან ამ პერიოდის დასრულების შემდგომ, ბენეფიციარის მხრიდან მიმდინარეობს სააგენტოს წინაშე ნაკისრი ყველა ვალდებულების ჯეროვნად შესრულება;

– უკვე დასრულებულია თანადაფინანსების ოცდაოთხთვიანი პერიოდი და მისი მხრიდან ჯეროვნად შესრულებულია სააგენტოს წინაშე ნაკისრი ყველა ვალდებულება, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული ბენეფიციარი აკმაყოფილებს პროგრამის პირველი მუხლის „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული „მეწარმე სუბიექტის“ ცნებას, მუხედავად იმისა, პროგრამის ამ ბენეფიციარის ეკონომიკური საქმიანობა თავსდება თუ არა გარდამავალი პერიოდის განმავლობაში მოქმედი დადგენილების დანართ №1-ის ჩამონათვალში;

დ) მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„5. პროგრამის ფარგლებში, კომერციული ბანკის მიერ პროგრამის ბენეფიციარისთვის მე-4 მუხლის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ სასტუმრო ინდუსტრიაში საქმიანობის დასაწყებად ან/და არსებული სასტუმროს გაფართოებისათვის/გადაიარაღებისათვის პროგრამის ბენეფიციარისთვის/პროგრამაში ჩართვის მსურველი მეწარმე სუბიექტისთვის პირველად გაცემული კრედიტის:

- მინიმალური მოცულობა შეადგენს არანაკლებ 50,000.0 (ორმოცდაათი ათასი) ლარს;
- მაქსიმალური მოცულობა, კრედიტთან ერთად, საერთაშორისო ბრენდის მიმართულების გამოყენების შემთხვევაში – 10,000,000.0 (ათი მილიონი) ლარს, ხოლო საერთაშორისო ბრენდის გამოყენების გარეშე – 4,000,000.0 (ოთხი მილიონი) ლარს.

ხსენებული მაქსიმალური ლიმიტის ფარგლებში, პროგრამით სარგებლობის შესაძლებლობა აქვს სახელმწიფო პროგრამის ამოქმედებიდან ნებისმიერ პერიოდში პროგრამაში ჩართულ პროგრამის ბენეფიციარს, რომლის მიმართ, ამავე პუნქტით სესხის აღების მომენტში:

– არ არის დასრულებული სააგენტოს მიერ თანადაფინანსების ოცდაოთხთვიანი პერიოდი ან ამ პერიოდის დასრულების შემდგომ, ბენეფიციარის მხრიდან მიმდინარეობს სააგენტოს წინაშე ნაკისრი ყველა ვალდებულების ჯეროვნად შესრულება;

– უკვე დასრულებულია თანადაფინანსების ოცდაოთხთვიანი პერიოდი და მისი მხრიდან ჯეროვნად შესრულებულია სააგენტოს წინაშე ნაკისრი ყველა ვალდებულება, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული ბენეფიციარი აკმაყოფილებს პროგრამის პირველი მუხლის „ბ“ ქვეპუნქტით



განსაზღვრული „მეწარმე სუბიექტის“ ცნებას, მიუხედავად იმისა, პროგრამის ამ ბენეფიციარის ეკონომიკური საქმიანობა თავსდება თუ არა გარდამავალი პერიოდის განმავლობაში მოქმედი დადგენილების დანართ №1-ის ჩამონათვალში;“;

ე) მე-6 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„6. პროგრამის ფარგლებში, კომერციული ბანკის მიერ პროგრამის ბენეფიციარისთვის მე-4 მუხლის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ ინდუსტრიაში საქმიანობის დასაწყებად ან/და არსებულის გაფართოებისათვის/გადაიარაღებისათვის პროგრამის ბენეფიციარისთვის/ პროგრამაში ჩართვის მსურველი მეწარმე სუბიექტისთვის პირველად გაცემული კრედიტის:

– მინიმალური მოცულობა შეადგენს არანაკლებ 50,000.0 (ორმოცდაათი ათასი) ლარს;

– მაქსიმალური მოცულობა, კრედიტთან ერთად, საერთაშორისო ბრენდის მიმართულების გამოყენების შემთხვევაში – 10,000,000.0 (ათი მილიონი) ლარს, ხოლო საერთაშორისო ბრენდის გამოყენების გარეშე – 5,000,000.0 (ხუთი მილიონი) ლარს.“;

ვ) მე-9 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„9. ამ პროგრამის ფარგლებში, ამ მუხლის მე-4, მე-5 და მე-6 პუნქტებით განსაზღვრული კრედიტი კომერციული ბანკის მიერ გაიცემა შემდეგი მიზნობრიობით:

ა) წარმოებისათვის/საქმიანობისათვის საჭირო კაპიტალური დანახარჯების გასაწევად – კრედიტის მოცულობის არანაკლებ 50 (ორმოცდაათი) პროცენტისა;

ბ) საბრუნავი საშუალებების შესაძენად – კრედიტის მოცულობის არაუმეტეს 50 (ორმოცდაათი) პროცენტისა.“;

ზ) მე-10 პუნქტი ამოღებულ იქნეს;

ზ¹) მე-11 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„11. სააგენტო კომერციული ბანკის მიერ პროგრამის ბენეფიციარისთვის გაცემულ კრედიტზე დარიცხული წლიური საპროცენტო განაკვეთის თანადაფინანსებას ახორციელებს კანონმდებლობით დადგენილი წესით, თანხის პროგრამის ბენეფიციარისთვის გადარიცხვით, სესხის მომსახურების გრაფიკის შესაბამისად, თუ ბენეფიციარის მხრიდან სრულად და დროულად არის შესრულებული საანგარიშო თვის განმავლობაში გადასახდელი სესხის ძირისა და დარიცხული მისი წილი საპროცენტო სარგებლის (სააგენტოს თანადაფინანსების გარეშე) გადახდის ვალდებულება. ამასთან, სასტუმროს, ბალნეოლოგიური კურორტებისა და ტურისტული სერვისების ინდუსტრიების ფარგლებში სააგენტო 2021 წლის იანვრისა და თებერვლის თვეში სესხის მომსახურების გრაფიკის შესაბამისად გადახდის დღეს თანადაფინანსების თანხას გადარიცხავს ბენეფიციარის ანგარიშზე, მიუხედავად იმისა, ბენეფიციარის მხრიდან სრულად და დროულად არის თუ არა შესრულებული მიმდინარე საანგარიშო თვის ფარგლებში მისი გადასახდელი სესხის ძირისა და დარიცხული პროცენტის საკუთარი წილის გადახდის ვალდებულება. აღნიშნულ შემთხვევაში, სააგენტო, მარტის თვის თანადაფინანსების თანხის ჩარიცხვას ბენეფიციარის ანგარიშზე განახორციელებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ბენეფიციარის მხრიდან თანადაფინანსების თანხის ჩარიცხვის ვადამდე სრულად იქნება გადახდილი წინა 2 საანგარიშო თვის (იანვარი, თებერვალი) განმავლობაში გადასახდელი სესხის ძირი და მასზე დარიცხულ საპროცენტო განაკვეთში ბენეფიციარის წილი საპროცენტო სარგებელი. აღნიშნულ შემთხვევაში, პროგრამის მე-10 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად განსაზღვრულ ვადაში არ ჩაითვლება ამ პუნქტით დადგენილი საშეღავათო 2 კალენდარული თვე (იანვარი, თებერვალი).“;

თ) მე-12 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბ) კომერციული ბანკის ან სხვა კომერციული ბანკის მიერ ამ პროგრამის ფარგლებში აღებული მიმდინარე კრედიტის რესტრუქტურის/რეფინანსირების შემთხვევაში, კრედიტზე დარიცხული წლიური საპროცენტო განაკვეთის თანადაფინანსებისათვის განსაზღვრული თავდაპირველი ვადა



იზრდება 12 თვით (მიუხედავად იმისა, რეფინანსირების/რესტრუქტურის მომენტისათვის ბენეფიციარი „ბულატრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად კვალიფიცირდება თუ არა მე-3 ან მე-4 კატეგორიის საწარმოდ, მხოლოდ საწარმოს შემოსავლის კომპონენტში ან/და აქვს თუ არა სახელმწიფოს მიმართ ვადაგადაცილებული საგადასახადო დავალიანება ან/და რეგისტრირებულია თუ არა მოვალეთა რეესტრში), შესაბამისად იზრდება სააგენტოს მიერ თანადაფინანსების სახით გადასახდელი თანხის თავდაპირველი მოცულობა ნამეტი 12 თვის განმავლობაში სესხის პროცენტის თანადაფინანსების სახით გადასახდელი თანხის ოდენობის პროპორციულად. ამასთან, აღნიშნული არ ვრცელდება გარდამავალი პერიოდის განმავლობაში პროგრამის ფარგლებში აღებული სესხების პროგრამის ფარგლებში რესტრუქტურის/რეფინანსირებისას/;

ი) მე-12 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„გ) სხვა კომერციული ბანკის მიერ კრედიტის რეფინანსირების/რესტრუქტურის შემთხვევაში არ უნდა იზრდებოდეს სესხის საპროცენტო განაკვეთი. ამასთან, თუ ხდება პროგრამის ფარგლებში ადრე აღებული რამდენიმე სესხის დაფარვა/გადაფარვა, კომერციული ბანკი ვალდებულია, რეფინანსირებული/რესტრუქტურის/რესტრუქტურის სესხი გასცეს დაფარული/გადაფარული სესხების საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთში;“.

4. 6¹ მუხლის:

ა) მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. სააგენტო, ამ მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრული მოცულობების ფარგლებში, უზრუნველყოფს ლიზინგის გამცემის მიერ პროგრამის ბენეფიციარისთვის გარდამავალ პერიოდში გაცემული ლიზინგის საგნის ღირებულებაზე დარიცხული 36 (ოცდათექვსმეტი) თვის საპროცენტო განაკვეთის თანადაფინანსებას, ლიზინგის საგნის გამცემის დღეს ეროვნული ბანკის მიერ ფიქსირებულ რეფინანსირების განაკვეთს დამატებული 5 (ხუთი) პროცენტის ოდენობით, მაგრამ არაუმეტეს ლიზინგის გამცემის მიერ ლიზინგის საგნის ღირებულებაზე დარიცხული წლიური საპროცენტო განაკვეთისა, სააგენტოსა და პროგრამის ბენეფიციარს შორის ხელშეკრულების გაფორმებიდან 41 (ორმოცდაერთი) თვის განმავლობაში. ამასთანავე, თუ ლიზინგის გამცემის მიერ გაცემული ლიზინგის საგნის დაფინანსების 36 (ოცდათექვსმეტი) თვეზე ნაკლებია, სააგენტო განახორციელებს გაცემული ლიზინგის საგნის ღირებულებაზე დარიცხული წლიური საპროცენტო განაკვეთის თანადაფინანსებას გაცემული ლიზინგის საგნის ვადით.“;

ბ) მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. პროგრამის ფარგლებში ლიზინგის გამცემის მიერ პროგრამის ერთ ბენეფიციარზე/პროგრამაში ჩართვის მსურველ მეწარმე სუბიექტზე გაცემული ლიზინგის საგნის ღირებულების მინიმალური მოცულობა პროგრამის მე-4 მუხლის „ა“, „გ“, „დ“ და „ე“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ ინდუსტრიაში უნდა შეადგენდეს არანაკლებ 50,000.0 (ორმოცდაათი ათასი) ლარს, ხოლო მაქსიმალური ჯამური მოცულობა მე-4 მუხლის „ა“, „გ“, „დ“ და „ე“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ ინდუსტრიაში არ უნდა აღემატებოდეს 10,000,000.0 (ათი მილიონი) ლარს. პროგრამის ფარგლებში დასაშვებია ისეთი პარალელური ლიზინგი, რომლის დროსაც ხდება ერთ პროგრამის ბენეფიციარზე ერთსა და იმავე ინდუსტრიაში რამდენიმე სალიზინგო პროექტის გაცემა, თუკი ლიზინგის პროექტების ღირებულებათა ჯამური მოცულობა მე-4 მუხლის „ა“, „გ“, „დ“ და „ე“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ ინდუსტრიაში არ აღემატება 10,000,000.0 (ათი მილიონი) ლარს.“

ხსენებული მაქსიმალური ლიმიტის ფარგლებში, პროგრამით სარგებლობის შესაძლებლობა აქვს სახელმწიფო პროგრამის ამოქმედებიდან ნებისმიერ პერიოდში პროგრამაში ჩართულ პროგრამის ბენეფიციარს, რომლის მიმართ, ამავე პუნქტით ლიზინგის საგნის აღების მომენტში:

– არ არის დასრულებული სააგენტოს მიერ თანადაფინანსების ოცდაოთხთვიანი პერიოდი ან ამ პერიოდის დასრულების შემდგომ, ბენეფიციარის მხრიდან მიმდინარეობს სააგენტოს წინაშე ნაკისრი ყველა ვალდებულების ჯეროვნად შესრულება;



- უკვე დასრულებულია თანადაფინანსების ოცდაოთხთვიანი პერიოდი და მისი მხრიდან ჯეროვნად შესრულებულია სააგენტოს წინაშე ნაკისრი ყველა ვალდებულება, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული ბენეფიციარი აკმაყოფილებს პროგრამის პირველი მუხლის „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული „მეწარმე სუბიექტის“ ცნებას, მუხედავად იმისა, პროგრამის ამ ბენეფიციარის ეკონომიკური საქმიანობა თავსდება თუ არა გარდამავალი პერიოდის განმავლობაში მოქმედი დადგენილების დანართ №1-ის ჩამონათვალში.“;

გ) მე-4 პუნქტი ამოღებულ იქნეს;

გ¹) მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„5. სააგენტო ლიზინგის გამცემის მიერ პროგრამის ბენეფიციარისთვის დადგენილ ლიზინგის საგნის ღირებულებაზე დარიცხული წლიური საპროცენტო განაკვეთის თანადაფინანსებას ახორციელებს კანონმდებლობით დადგენილი წესით, თანხის ლიზინგის გამცემისთვის გადარიცხვით, შესაბამისი ხელშეკრულებით დადგენილი გრაფიკის შესაბამისად, თუ ბენეფიციარის მხრიდან სრულად და დროულად არის შესრულებული საანგარიშო თვის განმავლობაში გადასახდელი ლიზინგის საგნის ღირებულებისა და მასზე დარიცხული მისი წილი საპროცენტო სარგებლის (სააგენტოს თანადაფინანსების გარეშე) გადახდის ვალდებულება. ამასთან, სასტუმროს, ბალნეოლოგიური კურორტებისა და ტურისტული სერვისების ინდუსტრიების ფარგლებში სააგენტო 2021 წლის იანვრისა და თებერვლის თვეში დადგენილი გრაფიკის შესაბამისად გადახდის დღეს თანადაფინანსების თანხას გადარიცხავს ლიზინგის გამცემის ანგარიშზე, მიუხედავად იმისა, ბენეფიციარის მხრიდან სრულად და დროულად არის თუ არა შესრულებული მიმდინარე საანგარიშო თვის ფარგლებში მისი გადასახდელი ლიზინგის საგნის ღირებულებისა და მასზე დარიცხული პროცენტის საკუთარი წილის გადახდის ვალდებულება. აღნიშნულ შემთხვევაში, სააგენტო მარტის თვის თანადაფინანსების თანხის ჩარიცხვას ლიზინგის გამცემის ანგარიშზე განახორციელებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ბენეფიციარის მხრიდან თანადაფინანსების თანხის ჩარიცხვის ვადამდე სრულად იქნება გადახდილი წინა 2 საანგარიშო თვის (იანვარი, თებერვალი) განმავლობაში გადასახდელი ლიზინგის საგნის ღირებულება და მასზე დარიცხულ საპროცენტო განაკვეთში ბენეფიციარის წილი საპროცენტო სარგებელი. აღნიშნულ შემთხვევაში, პროგრამის მე-10 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად განსაზღვრულ ვადაში არ ჩაითვლება ამ პუნქტით დადგენილი საშეღავათო 2 კალენდარული თვე (იანვარი, თებერვალი).“.

დ) მე-8 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ვ) გაცემული მიმდინარე სალიზინგო პროექტის იმავე ან სხვა ლიზინგის გამცემის მიერ რეფინანსირების/რესტრუქტურირების შემთხვევაში, ლიზინგის გამცემი ვალდებულია, გამოიყენოს არა უმეტეს ლიზინგის საგნის ღირებულებაზე დარიცხული მიმდინარე საპროცენტო განაკვეთი. ამასთან, თუ ხდება პროგრამის ფარგლებში ადრე გაცემული რამდენიმე სალიზინგო პროექტის დაფარვა/გადაფარვა, ლიზინგის გამცემი ვალდებულია, გამოიყენოს დაფარული/გადაფარული სალიზინგო პროექტების ფარგლებში ლიზინგის საგნის ღირებულებაზე დარიცხული საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთი;“;

ე) მე-8 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„თ) სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში მიმდინარე სალიზინგო პროექტის რეფინანსირების/რესტრუქტურირების შემთხვევაში, სააგენტოს მხრიდან თანადაფინანსებისათვის განსაზღვრული თავდაპირველი ვადა იზრდება დამატებით 12 თვით (მიუხედავად იმისა, რეფინანსირების/რესტრუქტურირების მომენტისათვის ბენეფიციარი „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად კვალიფიცირდება თუ არა მე-3 ან მე-4 კატეგორიის საწარმოდ, მხოლოდ საწარმოს შემოსავლის კომპონენტში ან/და აქვს თუ არა სახელმწიფოს მიმართ ვადაგადაცილებული საგადასახადო დავალიანება ან/და რეგისტრირებულია თუ არა მოვალეთა რეესტრში), შესაბამისად იზრდება სააგენტოს მიერ თანადაფინანსების სახით გადასახდელი თანხის თავდაპირველი მოცულობა ნამეტი 12 თვის განმავლობაში ლიზინგის საგნის ღირებულებაზე დარიცხული პროცენტის თანადაფინანსების სახით გადასახდელი თანხის ოდენობის პროპორციულად. ამასთან, აღნიშნული არ ვრცელდება გარდამავალი პერიოდის განმავლობაში პროგრამის ფარგლებში გაცემული სალიზინგო პროექტის რესტრუქტურირებისას/რეფინანსირებისას;“;



5. გარდამავალი პერიოდის განმავლობაში დანართი №1 ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„დანართი №1

ობიექტის კოდი		დასახელება
A	03.11.0	საზღვაო თევზჭერა
A	03.21.0	საზღვაო აკვაკულტურა
C	10.84.0	სუნელ-სანელებლების და საკაზმ-სანელებლების წარმოება
C	10.92.0	მზა საკვების წარმოება შინაური ცხოველებისათვის
C	11.07.1	მინერალური წყლების წარმოება
C	11.07.2	უალკოჰოლო არომატიზებული და/ან დამტკბარი სასმელების წარმოება, როგორცაა ლიმონათი, ხილის სასმელები, კოლა, ორანჟადი, ტონიკები და მისთ.
C	11.07.3	მტკნარი სასმელი წყლის წარმოება
C	13.10.0	ტექსტილის ბოჭკოს მომზადება და დართვა
C	13.20.0	ტექსტილის წარმოება
C	13.30.0	ტექსტილის გაწყობა
C	13.91.0	ნაქსოვი და ტრიკოტაჟის ქსოვილების წარმოება
C	13.92.0	ტექსტილის მზა ნაწარმის წარმოება, ტანსაცმლის გარდა
C	13.93.0	ხალიჩების და ფარდაგების წარმოება
C	13.94.0	თოკების, ბაგირების და ბადეების წარმოება
C	13.95.0	უქსოვადი ნაწარმის წარმოება, ტანსაცმლის გარდა
C	13.96.0	სხვა ტექნიკური და სამრეწველო ტექსტილის ნაწარმის წარმოება
C	13.99.0	ტექსტილის სხვა ნაწარმის წარმოება, სხვა დაჯგუფებებში ჩაურთველი
C	14.11.0	ტყავის ტანსაცმლის წარმოება
C	14.12.0	სპეცტანსაცმლის წარმოება
C	14.13.0	სხვა ზედა ტანსაცმლის წარმოება
C	14.14.0	საცვლების წარმოება
C	14.19.0	სხვა ტანსაცმლის და აქსესუარების წარმოება
C	14.20.0	ბეწვეულის ნაწარმის წარმოება
C	14.31.0	ტრიკოტაჟის და ნაქსოვი წინდების წარმოება
C	14.39.0	ნაქსოვი და ტრიკოტაჟის სხვა ტანსაცმლის წარმოება
C	15.11.0	ტყავის თრიმვლა და გამოქნა; ბეწვეულის გამოქნა და ღებვა
C	15.12.0	საბარგო ჩანთების, ხელჩანთების და მისთ., სასარაჯო-საუნაგრო ნაკეთობების წარმოება
C	15.20.0	ფეხსაცმლის წარმოება
C	16.10.0	ხის ხერხვა და რანდვა
C	16.21.0	შპონის ფურცლების და ხის პანელების წარმოება
C	16.22.0	ასაწყობი იატაკის საფარების წარმოება
C	16.23.0	მშენებლობაში გამოსაყენებელი სხვა სახეობის და სადურგლო ნაკეთობების წარმოება
C	16.24.0	ხის ტარის წარმოება
C	16.29.0	ხის სხვა პროდუქტების წარმოება; ნაკეთობების წარმოება კორპის, ჩალის და წნული მასალებისაგან
C	17.11.0	ქაღალდის მასის წარმოება
C	17.12.0	ქაღალდის და მუყაოს წარმოება
C	17.21.0	გოფირებული ქაღალდის და მუყაოს, ქაღალდის და მუყაოს ტარის წარმოება
C	17.22.0	საყოფაცხოვრებო და სანიტარიულ-ჰიგიენური დანიშნულების ქაღალდის ნაწარმის წარმოება
C	17.23.0	ქაღალდის საკანცელარიო საკუთნობების წარმოება



C	17.24.0	შპალერის წარმოება
C	17.29.0	სხვა ნაწარმის წარმოება ქაღალდისა და მუყაოსაგან
C	18.14.0	საამკინძაო და მასთან დაკავშირებული მომსახურება
C	19.10.0	საკოქსავი ღუმელების პროდუქტების წარმოება
C	19.20.0	ნავთობპროდუქტების წარმოება
C	20.11.0	სამრეწველო აირების წარმოება
C	20.12.0	საღებარების და პიგმენტების წარმოება
C	20.13.0	სხვა არაორგანული ძირითადი ქიმიკატების წარმოება
C	20.14.0	სხვა ორგანული ძირითადი ქიმიკატების წარმოება
C	20.15.2	აზოტის ნაერთების წარმოება
C	20.16.0	პლასტმასის წარმოება პირველად ფორმებში
C	20.17.0	სინთეზური კაუჩუკის წარმოება პირველად ფორმებში
C	20.20.0	პესტიციდების და სხვა აგროქიმიური პროდუქტების წარმოება
C	20.30.0	საღებავების, ლაქების და ანალოგიური საღებავი ნივთიერებების, ტიპოგრაფიული საღებავების და მასტიკების წარმოება
C	20.41.0	საპნის და სარეცხი საშუალებების, საწმენდი და საპრიალებელი საშუალებების წარმოება
C	20.42.0	პარფიუმერული და ტუალეტის საშუალებების წარმოება
C	20.52.0	წებოს წარმოება
C	20.53.0	ეთერზეთების წარმოება
C	20.59.0	სხვა ქიმიური პროდუქტების წარმოება, სხვა დაჯგუფებებში ჩაურთველის
C	20.60.0	ხელოვნური ბოჭკოს წარმოება
C	21.10.0	ძირითადი ფარმაცევტული პროდუქტების წარმოება
C	21.20.0	ფარმაცევტული პრეპარატების წარმოება
C	22.11.0	რეზინის საბურავების და კამერების წარმოება; რეზინის საბურავების აღდგენა და კაპიტალური რემონტი
C	22.19.0	რეზინის სხვა ნაწარმის წარმოება
C	22.21.0	პლასტმასის ფილების, ფურცლების, მილების და პროფილების წარმოება
C	22.22.0	პლასტმასის საფუთავების წარმოება
C	22.23.0	პლასტმასის სამშენებლო ნაკეთობების წარმოება
C	22.29.0	პლასტმასის სხვა ნაწარმის წარმოება
C	23.11.0	ფურცლოვანი მინის წარმოება
C	23.12.0	ფურცლოვანი მინის დაყალიბება და დამუშავება
C	23.13.0	ღრუ მინის წარმოება
C	23.14.0	ბოჭკოვანი მინის წარმოება
C	23.19.0	მინის სხვა ნაწარმის წარმოება და დამუშავება, ტექნიკური მინის ნაწარმის ჩათვლით
C	23.20.0	ცეცხლგამძლე ნაწარმის წარმოება
C	23.31.0	კერამიკული საფარების და ფილების წარმოება
C	23.32.0	აგურის, კრამიტის და სხვა სამშენებლო პროდუქციის წარმოება გამომწვარი თიხისაგან
C	23.41.0	კერამიკული საყოფაცხოვრებო და დეკორატიული ნაკეთობების წარმოება
C	23.42.0	კერამიკული სანტექნიკური ნაკეთობების წარმოება
C	23.43.0	კერამიკული იზოლატორების და საიზოლაციო ფიტინგების წარმოება
C	23.44.0	სხვა ტექნიკური კერამიკული პროდუქტების წარმოება
C	23.49.0	სხვა კერამიკული ნაკეთობების წარმოება
C	23.51.0	ცემენტის წარმოება
C	23.52.0	კირის და ბათქაშის წარმოება



C	23.61.0	ბეტონის პროდუქციის წარმოება სამშენებლო მიზნებისათვის
C	23.62.0	ბათქაშის პროდუქტების წარმოება სამშენებლო მიზნებისათვის
C	23.63.1	ბეტონის წარმოება
C	23.63.2	ასფალტბეტონის წარმოება
C	23.64.0	ნარეგების წარმოება
C	23.65.0	ბოჭკოვანი ცემენტის წარმოება
C	23.69.0	სხვა ნაკეთობების წარმოება ბეტონისგან, ბათქაშისა და ცემენტისაგან
C	23.70.0	ქვის ჭრა, დამუშავება და მოპირკეთება
C	23.91.0	აბრაზიული პროდუქტების წარმოება
C	23.99.0	სხვა არალითონური მინერალური პროდუქტების წარმოება, სხვა დაჯგუფებებში ჩაურთველი
C	24.10.0	თუჯის, ფოლადის და ფეროშენადნობების წარმოება
